

## დიანა მოსეშვილი

### არაბული ენა ჩრდილოეთ კავკასიაში

კავკასია ერთ-ერთი მსხვილი არაბულ-მუსლიმური ლიტერატურული ტრადიციის კერაა. არაბული ენისა და არაბულ-მუსლიმური კულტურულ-ფილოსოფიური ტრადიციების გავრცელება აქ ისლამის დამკვიდრებასთან ერთად დაიწყო. არაბულმა ენამ დიდი როლი შეასრულა კავკასიელი ხალხების ნაციონალური კულტურის განვითარებაში. არაბთა კულტურა და დამწერლობა აქ გასცდა მათი სამხედრო და პოლიტიკური ძალაუფლების საზღვრებს.

ჩრდილოეთმა კავკასიამ ტყუილად არ მიიპყრო არაბების ყურადღება. ჩრდილოეთი კავკასია, განსაკუთრებით დაღესტანი, სახალიფოსთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური პუნქტი აღმოჩნდა. VII საუკუნის შუა ხანებისათვის სახალიფოს ჩრდილოეთი საზღვარი დერბენდის რაიონზე გადიოდა და მის დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო რაიონი, რომელიც კავკასიელ ხალხს ხაზართაგან გამოჰყოფდა. ამასთანავე, აღმოსავლეთ კავკასიაზე, კერძოდ კი კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, გადიოდა აღმოსავლეთი ევროპის წინა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზა. ასე რომ, არაბთათვის კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებისა და ამ სავაჭრო გზის ფლობა ეკონომიკური თვალსაზრისითაც. მნიშვნელოვანი იყო (ა. შიხსაიდოვი, 1969, გვ. 81).

VII საუკუნის შუა ხანებიდან IX საუკუნის დასაწყისამდე ცდილობდნენ არაბები დაღესტნის რაიონში დამკვიდრებას. პოლიტიკური დანაწევრებულობის მიუხედავად, დაღესტნელმა ხალხებმა მათ საოცარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მხოლოდ VII საუკუნის ბოლოს მოახერხეს არაბებმა დერბენდის აღება, სადაც მათი ჯარის მეთაურმა მასლამამ ხუთი ათასი მეომარი დატოვა და თავად სირიისაკენ გაეშურა. ჩასახლებული არაბული მოსახლეობა მნიშვნელოვანი ძალა და დასაყრდენი აღმოჩნდა დერბენდსა და მის შემოგარენში ისლამის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის. აქ არაბული მოსახლეობა მთელი საუკუნის მანძილზე რჩება. ამის შემდეგ დაღესტნის ამ დასხვა რაიონებში (კამახიში, ალ-მუჰამედიაში, ბაბ ალ-ბეჟიში) კიდევ რამდენჯერმე იქნა ჩასახლებული არაბ მუსლიმთა ნაკადი სირიასა და მესოპოტამიიდან (ა. შიხსაიდოვი, 1969, გვ. 93).

ესპანელი არაბი კოსმოგრაფი აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსი (1080-1169) წერდა, რომ არაბთა ისლამური ექსპანსიის დროს დამასკოდან, მოსულიდან და სხვა ქალაქებიდან 24000 ოჯახი იქნა ჩასახლებული დაღესტნის სხვადასხვა ნაწილში (იქვე, 1969, გვ. 94).

ცნობილი ისტორიკოსი ალ-მასყუდი X საუკუნის შუა ხანებისათვის წერს მუსლიმ-არაბთა შესახებ, რომლებიც სახლობენ ჯიდანსა და ბაბ ალ-აბვაბს შორის (ისინი აქ დასახლდნენ არაბთა პირველი მუსლიმური დაპყრობების დროს) და რომლებიც კარგად საუბრობენ მხოლოდ არაბულ ენაზე (ა. შიხსაიდოვი, 1969, გვ. 114).

დერბენდის შემოდგარენში არაბული მოსახლეობის არსებობაზე საუბრობს, ასევე, XII საუკუნის ისტორიკოსი, “შაიაფარიკინის ისტორიის” ავტორი ალ-აზრაყ ალ-ფარიკი, რომელიც აფხაზეთის მეფე დიმიტრის ახლდა დერბენდში და სწორედ ამ დროს შეხვდა არაბ მოსახლეობას, რომლებმაც წმინდად შეინარჩუნეს არაბული ენა (იქვე, გვ. 114).

არაბული ელემენტი დაღესტანში დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა ეთნიკურ სისუფთავეს. ამას შესაძლოა ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იგი გზადაგზა ივსებოდა ახალი არაბული ნაკადით. მაშინაც კი, როდესაც არაბული დაპყრობები ისტორიის ნაწილი გახდა, კერძოდ XI-XVII სს. მანძილზე (ა. შინსაიდოვი, 1969, გვ. 94).

არაბული სახალიფოს ისტორიაში, კავკასიის გარდა, კიდევ ბევრ სხვა რეგიონში მოხდა არაბთა მასობრივი ჩასახლება შემდგომი არაბიზაციისა და ისლამიზაციის მიზნით. თითქმის ყველგან ეს მიზანი მიღწეულ იქნა (სირია, ერაყი, ეგვიპტე, ჩრდილოეთი აფრიკა), მაგრამ კავკასიაში (ისევე როგორც ირანსა და შუა აზიაში), პირიქით, არაბული ელემენტის ასიმილაცია მოხდა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისისათვის სახალიფო დაიშალა ცალკეულ, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ რეგიონებად, რომელთაც სათავეში ედგნენ არაბული დინასტიები დამოუკიდებელი მმართველობით. დაღესტანი და, კერძოდ, შირვანისა და დერბენდის რაიონები არაბული წარმოშობის დინასტიის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდნენ, ხოლო დაღესტნის დანარჩენი რეგიონები უკვე აღარ ემორჩილებოდნენ არაბულ მმართველობას (იქვე, გვ. 101).

ადგილობრივ და ასევე სხვა წყაროებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ არაბთა ბატონობის ხანმოკლე პერიოდის დასრულების შემდეგ დაღესტნის ხალხები ისევ მიუბრუნდნენ თავიანთ რწმენას იმ რაიონებშიც კი, სადაც შესაძლოა ისლამი უკვე გაავრცელეს არაბებმა. ა. დასანოვი, რომელმაც თარგმნა ალ-კადარის — “ასარ დაღესტანი”, წერდა: “შესაძლოა ზოგიერთ ადგილას (მაგალითად დერბენდში, ტაბასარანსა და კაიტაკიში) არაბებმა მართლაც ააგეს თავიანთი მეჩეთები, მაგრამ რთული დასაჯერებელია, რომ მათ ეს VIII ს. მოახერხეს აკუმში, ხუნზახში, კუმუხსა და ახტახში. დასანოვის აზრით, მათ ამის გაკეთება შეეძლოთ მხოლოდ 2-3 საუკუნით გვიან, როდესაც არაბულმა კულტურამ აქ თავისი განვითარების პიკს მიაღწია და როდესაც მუსლიმმა მისიონერებმა არაბი ხალიფას პრესტიჟი განსაკუთრებით ასწიეს კავკასიელი ხალხის თვალში. ამ თვალსაზრისით, X-XI სს. შეიძლება დაღესტნის ინტენსიური ისლამიზაციის დასაწყის პერიოდად მივიჩნიოთ და არა დასასრულად”.

ისლამის საბოლოო დამკვიდრება კავკასიის ხალხებში სხვადასხვა დროს მოხდა. მათ შორის ყველაზე ადრე იგი დაღესტნის ხალხებმა მიიღეს. მაგ., ხუნძებმა XI-XII სს.-ში მიიღეს ისლამი, მაგრამ ახვახელების წინააღმდეგ ისლამიზაციის პროცესი საუკუნეების განმავლობაში გაიწეა და მხოლოდ XVIII ს. II ნახევარში დასრულდა. ბოთლიხელებში ისლამი საბოლოოდ XVI ს.-ის მეორე ნახევარში დამკვიდრდა. დასავლეთი დაღესტნის მცხოვრებთა და, მათ შორის, ლაღობერიელების ერთი ნაწილი ქრისტიანი იყო, მეორე ნაწილი

კი წარმართობას მისდევდა. მხოლოდ XVI-XVII სს.-ის მიჯნაზე მიიღეს მათ ისლამი. რაც შეეხება კავკასიის სხვა ხალხებს — XVI ს.-ში ჩაჩნეთში ისლამი დაღესტნიდან იწყებს შეღწევას, მაგრამ XVIII ს.-მდე მან აქ ფეხი ფართოდ ვერ მოიკიდა. გადმოცემების თანახმად, ხუნძების გარდა ჩაჩნეთში მაჰმადიანობას ყუმუხებიც ავრცელებდნენ. ინგუშებში მისი გავრცელება XVI ს.-დან დაიწყო, თუმცა, საბოლოოდ მხოლოდ XIX ს.-ის პირველ ნახევარში განმტკიცდა.

ისლამიზაციის პროცესმა ჩრდილოეთი კავკასიის ხალხები საუკუნეებით დაუკავშირა მსოფლიო კულტურულ მუსლიმურ სამყაროს. არაბული ენის შესწავლამ დაღესტნელ უმწერლობო ხალხებს საშუალება მისცა, გასცნობოდა მრავალ სასწავლო დისციპლინას, რომელსაც ქმნიდნენ ადგილობრივი ავტორები და ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხების წერილობით ლიტერატურას, რაც ერთგვარი ბაზა გახდა საკუთრივ დაღესტნური მწერლობის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარებისათვის. მატერიალური და სულიერი კულტურის ურთიერთგაცვლა ადგილობრივ ხალხებში არსებულ შემოქმედებით და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს აღვივებდა.

როგორც კავკასიური ენების მკვლევარი მ. საიდოვი მიუთითებდა, არაბული ანბანი უკვე XV საუკუნის დასასრულს გამოიყენება. ხუნძური ენის დამწერლობისთვის XVIII საუკუნის ბოლოდან დაღესტანში ინტენსიური ხდება არაბული ანბანით ადგილობრივი ენების ფიქსაცია (ე. წ. “აჯამი”).

X საუკუნიდან მოყოლებული ჩაიწერა ზეპირსიტყვიერების ცნობილი ნიმუშები. პარალელურად იქმნებოდა მცირე ქრონიკები ამა თუ იმ აულის შესახებ. ისტორიული შინაარსის შრომებთან ერთად, გვხვდება რელიგიური შინაარსის ლიტერატურა და სახელმძღვანელოები: ყურანის ტექსტები, კომენტარები, ჰადისები, მუსლიმური სამართლის წიგნები. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სუფიურ ლიტერატურას. ისლამი აქ, ფაქტობრივად, სუფიზმის სახით გავრცელდა, რომელსაც რელიგიის ფილოსოფიას უწოდებდნენ. ასევე იქმნება სასწავლო სახელმძღვანელოები ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში: ფილოსოფიაში, ფილოლოგიაში, გრამატიკაში, მათემატიკაში, გეოგრაფიაში, ასტრონომიასა და მედიცინაში. პარალელურად იქმნება დაღესტნელი ავტორების ორიგინალური მხატვრული ლიტერატურაც.

ქრონოლოგიურად არაბული ენა დაღესტანში VII საუკუნიდან ვრცელდება, ხოლო არაბული დამწერლობა VIII-IX საუკუნეებში, ადრე აბასელთა პერიოდში, მაგრამ, შესაძლოა, ეს პროცესი ცოტა უფრო ადრეც დაწყებულიყო, როცა რეგიონში დასახლებული არაბული მოსახლეობა აგებს მეჩეთებს არაბული წარწერებით. საწყის ეტაპზე ეს პროცესი არაბებით დასახლებული დერბენდითა და მისი შემოგარენით შემოისახლვრებოდა (ნ. კრაჩკოვსკი, 1960, გვ. 4).

ნ. კრაჩკოვსკი კავკასიაში არაბული ენის მომძლავრების მეორე ტალღას XV საუკუნით ათარიღებს, როცა იწყება ორიგინალური არაბულენოვანი ლიტერატურის შექმნა. დაღესტნელი მკვლევრები: გ. გაზმატოვი, მ. საიდოვი და ა. შიხსაიდოვი ორიგინალური არაბულენოვანი ლიტერატურის შექმნის ქრონოლოგიურ ჩარჩოს გაცილებით, აფართოებენ და საწყის პერიოდს X საუკუნეს ვანაკუთვნიებენ. იმ დროისათვის დაღესტანში არაბული ენის ცოდნის დონე მოსახლეობის განათლებულ ნაწილში საკმაოდ მაღალი იყო. დაღესტნელები,

რომლებიც განათლებას სახალიფოში იღებდნენ, ინარჩუნებდნენ კონტაქტებს ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის სწავლულებთან.

დაღესტანში ადგილობრივი ხალხებისათვის არაბული არასდროს ყოფილა საყოველთაო სახალხო სასაუბრო ენა. იგი მოსახლეობის მხოლოდ განათლებულმა ნაწილმა, ე. წ. “სწავლულებმა” იცოდნენ და იყენებდნენ მას მწერლობასა და ადმინისტრაციაში.

რუსი მეცნიერი მ. მიხაილოვი, გამოყოფს რა ლინგვისტური ბილინგვიზმის სამ სახეს — მასობრივს, ჭგუფურსა და ინდივიდუალურს, დაღესტნელი სწავლულების გამოკვლევებისა და შეფასებების გათვალისწინებით, არაბული ენის გავრცელების მასშტაბს განიხილავს, როგორც ჭგუფური ბილინგვიზმის შემთხვევას, განსაკუთრებით, XIX საუკუნეში, როცა ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთი კავკასიის მოსახლეობის მიერ არაბული ენის გათავისების აქტიურ პროცესს. განსაკუთრებით დიდი როლი დაეკისრა არაბულს კავკასიური ომების პერიოდში. შამილის დროს არაბული საერთაშორისო ენა გახდა. ამ ენაზე წარიმართებოდა ერთა შორის მოლაპარაკებები, როგორც წერილობითი, ასევე სიტყვიერი. ამ ენაზე ხდებოდა ნაიბთა მთელი საქმიანი დოკუმენტაციის: განცხადებების, დეკლარაციების, პროტოკოლების, აქტების და ა. შ., წარმოება. სხვადასხვა აულის მკვიდრთა შორის ყოფითი შინაარსის მიწერ-მოწერაც არაბულ ენაზე მიმდინარეობდა. გლეხებს, რომელთაც არ იცოდნენ ეს ენა, უხდებოდათ, დახმარებისთვის მიემართათ არაბულის მკოდნეთათვის.

ამდენად, არაბული ენა ჩრდილოეთ კავკასიაში, მართლაც, გახდა აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებთან ურთიერთობის საშუალება. არაბული დაღესტნელებისათვის, უმწერლობო ენების მქონე ხალხებისათვის, იქცა ხილად, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში კულტურული და სამეცნიერო სიახლეები შემოედინებოდა აღმოსავლეთიდან, მაგრამ, ჩვენი აზრით, არაბული ენის არსებობა და ფუნქციონირება ჩრდილოეთ კავკასიაში ბილინგვიზმზე მეტად ადგილობრივ ენებთან მიმართებით ენათა დიგლოსიური ურთიერთობის ტიპს ჩამოჰგავს და განსაკუთრებით, დაღესტანში მისი ფუნქციონირების ბოლო 2-3 საუკუნის მანძილზე, რადგანაც ადგილობრივ დაღესტნურ და არაბულ ენებს შორის მოხდა ფუნქციითა ერთგვარი გადანაწილება. არაბული უმწერლობო ხალხებისათვის გახდა ოფიციალური, თუ არაოფიციალური წერილობითი, თუ სიტყვიერი ურთიერთობის ენა ქვეყანაში. არაბულ ენაზე იღებდნენ განათლებას, არაბულ ენაზე ქმნიდნენ ადგილობრივები მხატვრულ, თუ სხვა ტიპის ლიტერატურას. არაბული ისლამის დამკვიდრების შემდეგ, გახდა რელიგიის ენა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არაბული ხალხთა შორის (ოფიციალური, თუ არაოფიციალური) ურთიერთობის ენაც იყო მთელ რეგიონში. ადგილობრივ ენებზე იქმნებოდა ლიტერატურა (იმ ენებზე, რომლებისთვისაც სპეციალურად შეიქმნა არაბული გრაფიკის საფუძველზე ანბანი), თუმცა ეს ენები, ძირითადად მაინც რჩებოდა ყოველდღიური ურთიერთობის საშუალებად არაოფიციალურ გარემოში. ფუნქციითა ასეთი მყარი გადანაწილება დამახასიათებელია სწორედ ენათა დიგლოსიური ურთიერთობისათვის, სადაც ერთ-ერთი ენა ყოველთვის ატარებს ე. წ. ხელოვნურ ხასიათს, არ გადაეცემა ადამიანს ოჯახისაგან და განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებს.

1917 წლის რევოლუციის შედეგად, არაბულმა კავკასიაში, როგორც ეროვნებათშორისი ურთიერთობების ენამ, ამოწურა თავისი ისტორიულ-კულტურული მისია.

## დამოწმებული ლიტერატურა

- ვ. ბარტოლდი, 1996 - Бартольд В.В. Этнографический состав мусульманского мира. Значение арабского языка и арабской культуры // Москва, Сочинения. Т. IV. 1996.
- მ. გუდავა, 1985 - მ. გუდავა, ზოგიერთი ცნობა დაღესტნელი ავტორების არაბულენოვანი პოეტური შემოქმედების შესახებ, სემიტოლოგიური ძიებანი, II-Studia Semitica, თბ., 1985.
- მ. გუდავა, 1988 - Гудава М.Т. Некоторые вопросы истории дагестанской арабоязычной литературы. Семитологические штудии IV. 1988.
- ე. კრაიუჩენკო - Крайюченко Е.В. Появление арабского языка на юге России. Секция #20, Проблемы общего и сравнительного языкознания (кафедра общего и сравнительного языкознания).
- ბ. კრაჩკოვსკი, 1960 - Крачковский Н. И. Арабская литература на Северном Кавказе. Москва Собр. Соч. т. 1960
- რ. თოფჩიშვილი, 2007 - რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი სალექციო კურსი, 2007.
- ზ. მაგომედოვა, 2009 - Магомедова З.А. Литературный билингвизм в Дагестане. (к истории вопроса). Теоретические и методические проблемы национально-русского двуязычия. Материалы международной научно-практической конференции. 27-28 мая 2009 г.
- ტ. მარგველაშვილი, 1953 - Маргвелашвили Т.С. Языковые особенности арабоязычных памятников Северного Кавказа Диссертация на соискание степени кандидата филологических наук, 1971.
- ა. შიხსაიდოვი, 1969 - Шихсаидов А.Р. Ислам в средневековом Дагестане (VII-XV вв.) Махачкала, 1969.
- ა. შიხსაიდოვი, ნ. ტაპიროვი, დ. გაჯიევა, 2001 - Шихсаидов А.Р., Тагирова Н.А., Гаджиева Д.Х. Арабская рукописная книга в Дагестане. Махачкала, 2001.
- ა. ხალიდოვი, 1985 - Халидов А. Г. Арабские рукописи и арабская рукописная традиция. Семитологические штудии, IV თბ., 1985.
- ბ. ხუციშვილი, 2002 - ბ. ხუციშვილი, დაღესტანი, თბ., 2002.

**DIANA MOSESHVILI****ARABIC IN THE NORTH CAUCASUS**

North Caucasus is one of the big hearths of the Muslim-Arab cultural traditions. The Arabic language has played important role in the development of the North Caucasus peoples' national cultures.

By the mid-7<sup>th</sup> century Dagestan had been an important strategic region protecting the Caucasus from the Khazar invasions. The north borderline of the caliphate went at Derbent, the defense of the region was a matter of great significance for the Arabs.

Northern Caucasus presented territories important in economic terms as well. Strong connections between the Volga Valley and the neighborhood with the east European countries, middle Asia, and the Middle East urged Arabs to gain footage in the countries of the Caspian Sea basin and on the trade routes running along the west coastline of the Caspian Sea. Ruling the east Caucasus meant creating conditions for the free exploitation of the rich Caucasian and Middle East lands.

The first waves of the Arabic culture and language region spread to the Caucasus in the seventh century during the early Muslim conquests; Arabic writing system reached in the 8<sup>th</sup> -9<sup>th</sup> cc. during the early Abbasids periods. In Dagestan with Derbent and its surrounding territories, which had been settled with Arabs, the process might have begun even earlier than that.

Arabic never succeeded enough to become the Lingua Franca for the North Caucasus peoples. Only the educated part of the population, so called "the scholars" could use it in the correspondence and administration. Arabic was the language of instruction and the religion. It was also used in personal letters.

The 19<sup>th</sup> century saw a very active process of familiarizing Arabic among the North Caucasus population particularly during Imam Shamil and the Caucasian wars, when Arabic became the common language for communication among the peoples living in the area.

After the Russian revolution of 1917 Arabic language ceased to function as the language of communication between the different peoples of the North Caucasus. The time of its historical and cultural mission has elapsed.